საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030159523612419

№ 01-131/მ **29 / მარტი / 2019 წ.**

თ ა მ ა რ გ ა ბ უ ნ ი ა ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) მიერ დაგეგმილ ღვიძლის საერთაშორისო კონგრესში (კონგრესის ფარგლებში, ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით დაგეგმილია C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით, ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგების თაობაზე საქართველოსადმი მიძღვნილი სესია, ასევე, ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის მიმართულებით საქართველოსათვის „Centre of Excellence”-ის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება.) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 10 აპრილიდან და 2019 წლის 13 აპრილის ჩათვლით, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, მივლინებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - **თამარ გაბუნია.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯები ანაზღაურდება სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 28 მარტის №01-3059 მოხსენებითი ბარათი

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო